



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კირქვა

კირქვა, დანალექი ქანი. შედგება უმთავრესად კარბონატების კლასის მინერალ კალციტისაგან (CaCO_3), იშვიათად – არაგონიტისაგან, შესაძლებელია შეიცავდეს ტერიგენული ან აუტიგენური მინერალებისა და ქანების ნატეხებსაც. წარმოშობის მიხედვით არსებობს ბიოგენური (ზოოგენური, ფიტოგენური), ქემოგენური და შერეული წარმოშობის კ-ები. გვხვდება ნამსხვრევი და მეტასომატურიც. მეტამორფიზმის შედეგად კ. გარდაიქმნება მარმარილოდ. მას იყენებენ მშენებლობაში, მეტალურგიაში, სოფ. მეურნეობაში.

საქართველოში კ-ს საშენ მასალად ჯერ კიდევ 4 ათ. წლის წინათ იყენებდნენ (აფხაზეთის დოლომიტები). კ-ითაა მოპირკეთებული შუა საუკუნეების ქართ. არქიტექტურის მრავალი ძეგლი (გელათის, ბაგრატის, კაცხის, ხობის, ბზიფის ტაძრები, უქიმერიონი, ნიკორწმინდა, მონამეთა და სხვ.). აგრეთვე შენობები თბილისში (სპორტის სასახლე საქართვე. არქივის შენობა, ქართ. ენციკლოპედიის მთავარი სამეცნ. რედაქციის ყოფ. შენობა, სასტუმრო „თბილისი მარიოტი“ და სხვ.), ქუთაისში, სოხუმში.

საქართველოში საშენი კ-ის საბადოებია თერჯოლის (ეკლარის ქვა სოფ. ჭოგნართან), ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერის, ზესტაფონის, ბაღდათის (მდ. ხანისწყლის გემო დინება), სენაკის (თეკლათი), ზუგდიდის (ცაცხვი), გალის (სათანჯო), ოჩამჩირის (ტყვარჩელის მიდამოები), სოხუმის (შრომა), გუდაუთის (ახალი ათონის მიდამოები), გაგრის (გაგრა და მისი მიდამოები) მუნიციპალიტეტებში, ქუთაისთან [გოდოგანის (გოდოგანის კ-იდანაა გამოკვეთილი თბილისში შოთა რუსთაველის ძეგლი), კვახჭირი, მონამეთა], რიონსა და ცხენისწყალს შორის (ნამახვანი, მექვენა, ლარჩვალი, საირმისმთა) და სხვ.

საცემენტე კ-ები არის კასპის მიდამოებში, კახეთში, შიდა ქართლში და სხვ.

ვ. მუხბაია

ნ. ფოფორაძე

გ. ჩიხრაძე
